№ 157

1877

ივერია

№ 157

1903

ივლისის 25, პარასკევი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივლისის 25, პარასკევი 1903 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 ვითთ—1 მან. 50 კაპ.

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი საგარაკო ადგილები

„სარზეიმო“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ **ფიჭვისა მუხისა**, დაპირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—21).

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აცხადებს

მთარგმნელთა საყურადღებოდ,

რომ გასამრჯელო მთარგმნელებს მიეცემათ მხოლოდ იმ პიესების თარგმნაში, რომელიც წინადვე გადასათარგმნელად გამგეობის მიერ მოწონებული იქმნება. მსურველთ შეუძლიანთ წარუდგინონ გამგეობას სათარგმნელად არჩეული პიესა და, თუ გამგეობამ მოიწონა, მთარგმნელს, გადათარგმნის შემდეგ, გასამრჯელო მიეცემა, თუნდაც პიესა დამდეგ სეზონში ვერ დაიდგას სცენაზედ. (5—უ.—3)

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მსურველთათვის დანიშნულია 19 აგვისტოს

გამოსაცდელი წარმოდგენა

ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ თეატრის კანტორაში დღეიდან 5 აგვისტომდე, ყოველ დღე დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (7—4)

ზემო ავჭალაში, ბაქანს ახლო, იყიდება

საგარაკო ადგილი,

რომელზედაც ვენახია გაშენებული, 1.000 ჩორსო საჟენი. ფასი 2.500 მან. შეიძლება გაიყიდოს პატარა ნაჭრებადაც, 100—200 ჩორსო საჟენი. ფასი საჟენისა 2—3 მანათი. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—8)

ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ,

იჯარით იძლევა

დიდი სახლი, რომელიც სასტუმროდ შეიძლება გადაკეთდეს. ქვემო სართულში სავაჭრო დუქნებია. შემოსავალი 10.000 მანეთს აღემატება. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—8)

ქართული წიგნის მაღაზია

გაიხსნა ავჭალის ქუჩაზედ, რეუტოვის ქუჩის კუთხეში, პაპოვის სახლში, სადაც ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები. აქვე ყიდულობენ ძველს წიგნებს, სხვა ენებზედ დაბეჭდილსაც. (10—7)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილისქუჩიდან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ნ. ტ. მუდინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების და ელექტროთერაპია 11—1 ს.

ზრ. გ. ხოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდე-ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. აგეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტროთერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7— საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½, 8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გათებსსაუკეხლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Воронцова

(წლ.

მთავრობის განკარგულებანი.

1903 წელსა, ივლისის 23 დღეს, ტფილისის გუბერნატორმა,—ქ. ტფილისში შემოღებულ სავალდებულო წესდების ძალით, რომელიც კავკასიის მთავარმართებელმა გამოსცა 18 იანვარს 1902 წელს, სახელმწიფო წეს-წყობილებისა და საზოგადო მშვიდობიანობის დასაცველად,—დაადგინა პოლიციის განკარგულების დაუმორჩილებლობასა და ქუჩაში ყრილობის მოხდენისათვის დასაპატიმრებულ იქმნან:

სამის თვის ვადით:

მირონ აბრამიანცი (მეწაღე და ევგენ დვალი (მუშა).

თვე ნახევარს:

ივანე დავიდოვი (ზეინკალი), პეტრე სიტნიკოვი (მუშა), ვარლამ ქორქაძე (მუშა) და სვიმონ სტურუა (მუშა).

დაპატიმრების ვადა იწყება აბრამიანცისათვის 17 ივლისის საღამოდგან, ხოლო დანარჩენებისათვის—18 ივლისის საღამოს 9 საათიდგან.

ტფილისი, 25 ივლისი.

გუშინდელმა დეპეშამ გვაუწყა, რომ კარდინალთა კრებულმა პაპად კარდინალი იოსებ სარტო აირჩია პიუს მე-X სახელით აწ ღვთივ განსვენებულ ლეონ მე-XIII მაგივრადაო.

ეს არჩევანი სწორედ მოულოდნელი იყო ყველასათვის, რადგან ძლიერ კანდიდატთა შორის, როგორნიც იყვნენ მაგ., რამპოლლა, გოტტი, ვანუტელლი, კაპეჩელატრო და სხვ., სარტოს არ იხსენიებდნენ. მაშინ, როდესაც ზემოხსენებულ კანდიდატთა შესახებ მთელის ერთის თვის განმავლობაში ათასგვარ ცნობას იუწყებოდნენ, სარტოს შესახებ მხოლოდ გაკვრით იყო მოხსენებული,—იმასაც ასახელებენ კანდიდატადაო. ეს გარემოება, ალბად, იმით უნდა აიხსნას, რომ ეხლანდელი წმ. მამა რომის კათოლიკეთა ეკლესიისა არ იყო შეპყრობილი პატივ-მოყვარეობით ზოგიერთებივით, და ამასთანავე მუდამ დას-დასობისა და პოლიტიკანობის გარეშე იდგა. როდესაც სხვა კარდინალები და მათი მომხრენი არავითარ ღონისძიებას არა ჰზოგავდნენ, როგორმე თავისი კანდიდატი გაეყვანათ, სარტო მშვიდობიანად მოელოდდა კონკლავის შეკრებას და მხოლოდ იმისათვის ჰზრუნავდა, რომ არჩევანი სამართლიანობით, მიუდგომლობით მომხდარიყო და ღირსეული კაცი დაემკვიდრებიათ წმ. პეტრე მოციქულის ტახტზედ. სარტომ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა კონკლავზე და სწორედ მაშინ მიიქცია საყოველთაო ყურადღება, მომავალი პაპიო—განაცხადა სარტომ—უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ღვთის მმოსავი, სათნო და სწავლულიო.

ღირს შესანიშნავია, რომ ლეონ მე-XIII-ემ, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა ყოველივე ავ-კარგი კარდინალთა, უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სარტოს და, ერთხელ, ბაასის დროს, განაცხადა,—ყველაზედ უფრო ღირსეულ მოადგილედ ვენეციელი კარდინალი სარტო მიმაჩნიაო.

ახალი პაპი პიუს მე-X დაიბადა 1835 წელს ქალაქ რიზაში, ასე რომ ამ ჟამად 68 წლისაა, ჯერ სრულიად ჯან-საღი და დაუღალავი მსახური წმ. ეკლესიისა.

თუ ვიგულისხმებთ, რომ სარტო, ბუნებით სათნო, თავმდაბალი, ქრისტეანულის კაცთ-მოყვარეობით აღსავსე და ამასთანავე დიდად განვითარებული კაცია მეცნიერულად,—ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მისი არჩევა მეტად სასარგებლო იქმნება, როგორც კათოლიკე ეკკლესიის მსახურთა, ისე სრულიად კათოლიკეთათვის, რომელნიც ვრცლად მოჰფენიან მთელს მსოფლიოს.

ვსასოებთ, რომ ეხლანდელი მთავარი რომის ეკკლესიისა არ უღალატებს თავის ღირსეულ წინამოადგილის ანდერძსა და ჯეროვანს ყურადღებას მიაპყრობს ჩვენს თანამოძმე ქართველ კათოლიკეთ, რომელნიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მუდამ ერთგულნი და მორჩილნი შვილნი იყვნენ რომის წმ. ეკკლესიისა.

დღეგრძელიმც იყოს პიუს მე-X საბედნიეროდ და სადიდებლად სრულიად კათოლიკეთა.

ტფილისი

✦ თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი მისი წერილი: „ულრმესი მადლობა მომიხსენებია მათთვის, ვინც ჩემს სახელწოდების დღეს წერილით, თუ დეპეშით მიმიკითხა“.

✦ მთავარ-მართებლის კანცელარიამ გაუგზავნა ამიერ კავკასიის გუბერნატორებს პროექტი იმ წესდებისა, რომელიც უნდა შემოიღონ საძოვარ ადგილების შესახებ. ეს წესდება მთიან ადგილებისათვის იქნება სავალდებულო, სადაც სახელმწიფო ტყე საძოვარს ადგილს უერთდება და, გაუფთხილებლობისა გამო, ფუჭდება. ამ პროექტით განზრახულია: 1, საზაფხულო საძოვრები დაეთმოს სოფლის საზოგადოებას, ამხანაგობას ანუ კერძო კაცებს, ხოლო საზღვრები დაწვრილებით უნდა იყოს გამორკვეული და მოხსენებული იმ ოქმში, რომელსაც ხელს მოაწერენ ხაზინის მოხელე და საძოვარ ადგილების ამღები. 2, ვინც ამ ადგილებს აიღებს მოვალეა თვალყური ადევნოს, რომ ტყის ახლო ცეცხლი არავინ გააჩაღოს. 3, უკეთუ ცეცხლი გაჩნდა და ტყეს ევნო, საძოვრის ამღები მოვალეა ან დამნაშავე აღმოაჩინოს ან არა თვითონ გადიხადოს ზარალი. 4, სოფლის საზოგადოება მოვალეა ყორნებიხელ-უხლებლად შეინახოს. 5, უკეთუ საძოვარი ადგილი ანუ ტყე დაისაკუთრა ვინმემ, სოფლის საზოგადოება მოვალეა მაშინვე აცნობოს ეს ამბავი ტყის მცველს; წინააღმდეგ შემთხვევაში წანახედი და ზარალი საზოგადოებას გარდახდება. 6, თუ რომ სოფლის საზოგადოება იღებს საძოვარ ადგილებს, მისი რწმუნებულნი ხელშეკრულობის ქაღალდს აძლევენ ხაზინის მოხელეს, რომ ყოველ ზარალსა კისრულობენ. ამიერ-კავკასიის გუბერნატორები განიხილავენ ამ პროექტს და თავის მოხსენებას მთავარ-მართებელს წარუდგენენ.

✦ კავკასიის განყოფილება რუსეთის საბაღოსნო საზოგადოებისა გვთხოვს ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს, რომ მომავალ შემოდგომას კრება იქმნება ბაღოსნებისა გაგრაში, სადაც მცენარეულობის გამოფენაა დანიშნული 15 სექტემბრიდგან 1 ნოემბრამდე. ამ კრების წევრად ჩაითვლება ყველა, ვისაც შავის ზღვის ნაპირს მამული აქვს და ვინც ამ საგანს შრომითა თუ სხვა ფრივ ეხმარება; ხოლო ვისაცა სურს ამ კრებაში მონაწილეობა მიიღოს, წინადვე უნდა ჩაეწეროს და საწევრო ბილეთი აიღოს.

✦ ეჩმიაძინიდანვე ატყობინებენ „ნორდარს“, ვითომც სომხეთა სინოდს მიუღია შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება, რომ, თანხმად სენატის განმარტებისა, ყოველი სომეხი, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მიღებულ იქმნება მოხელედ, ვალდებულია ერთგულობის ფიცი რუსულ ენაზედ მიიღოს.

✦ „თურქესტანის უწყებას“ შეუტყვია, რომ ის დაბალის ხარისხის ჯარისკაცნი, რომლებიც კავკასიელნი არიან და მსახურებდნენ თურქესტანის საპერის როტაში, სხვაგან გადაყვანილ იქმნებიან თურქესტანიდგან. როგორც სხვა ცნობებით ვიცით, კავკასიელნი ვერ იტანენ თურქესტანის ჰავას და ამისათვის სამხედრო სამსახურის ასრულება არ შეუძლიანთ.

✦ საუფლისწულო მამულების საწყობებში აქამომდე მხოლოდ ღვინო იყიდებოდა. ეხლა-კი ამ უწყების სამმართველოს განკარგულება მოუხდენია, რომ ჩაქვაში მოყვანილი ჩაიც გაიყიდოს.

✦ კავკასიის მთავარ-მართებელმა კავკასიის სტიპენდიანტებად დანიშნა თვრამეტი ღარიბი მოწაფე სხვა-და-სხვა მაღალ სასწავლებლებისა. თვრამეტ ყმაწვილში ორი ქართველია: ივანე გაჩეჩილაძე, რომელმაც სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში დაამთავრა, და ანდრია ტატიშვილი, რომელმაც ტფილისის მეორე გიმნაზია დაასრულა.

✦ „ივერიის“ რედაქცია ბოდიშს იხდის კუკიაში მცხოვრებ ხელის მომწერლების წინაშე, რათა თავის დროზე ვერ მიაწოდა გაზეთი, რადგანაც გაზეთის დამტარებელი უეცრად ავად გახდა.

✦ ქალაქის გამგეობამ ნება მისცა თ-დ დ. ა. გურამიშვილს ორი ახალ სისტემის ფარანი დასდგას ნიმუშად—ერთი გოლოვინის პროსპექტზედ, ერთი გიმნაზიის პირდაპირ, და მეორე პუშკინის ქუჩაზე, თამამშოვის ქარვასლის კუთხეში.

✦ ქალაქის სამმართველოს მიწის მზომელნი ამ ჟამად ტფილისის რუქას ამზადებენ, რომელშიაც ვრცლად იქმნება მოთავსებული ქალაქის ქუჩა-მოედნები და შენობები. ეს შრომა ამ წლის ბოლოს დამთავრდება და მერე დაისტამბება. შემდეგ პატარა მასშტაბით გადიღებენ დიდი რუქის პირსა და გამოსცემენ გასასყიდად.

✦ ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების გამგეობამა და მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ მიხეილის პროსპექტზე ბაღი დაიქირავეს ბავშვების სასეირნოთ და გასართობად. გასართობები იმართება დილით 8 საათიდან 12-მდე და საღამოთი 5 საათიდან 8-მდე. რადგან ხარჯი დიდია და შემოსავალი-კი მცირე, აღნიშნულ საზოგადოების გამგეობა სთხოვს ქალაქის გამგეობას, რაიმე დახმარება გაუწიოს ამ საქმეს.

✦ ბათუმის პროგიმნაზიას, რომელიც გიმნაზიად გადაკეთდა, ყოველ წელს თითო კლასი ემატებოდა. წელს უკანასკნელი კლასიც არსდება; ასე რომ მომავალ წელს მოსწავლენი პირველად დაამთავრებენ სწავლას ამ სკოლაში.

✦ ფინანსთა მინისტრი ს. ვიტტე სოჭში აპირებს ჩამოსვლას, სადაც რამდენსამე კვირას გაატარებს.

✦ მარტყოფის სკოლაში მეორე მას-

წავლებლად ყოფილა ვინმე რ—კოვი, რომელიც იქიდგან სხვაგან გადაუყვანიათ. ეს მასწავლებელი ტფილისის გუბერნატორთან უჩივის სოფლის საზოგადოებას, ორის თვის ჯამაგირი არ მომცაო. გუბერნატორი ფულით დაეხმარა მასწავლებელს და ამასთანავე უბრძანა ადგილობრივ პოლიციის ბოქაულს, —სოფლის საზოგადოებამ ჩქარა დააკმაყოფილოს ბ-ნი რ—კოვიო.

◆ ქართულის თეატრის არტისტი ბ-ნი ვ. ა. აბაშიძე სოფელ ახალქალაქში ჰმართავს ორს წარმოდგენას, სცენის მოყვარულთა დახმარებით. პირველი წარმოდგენა გაიმართება კვირას, 27 ივლისს; ეს წარმოდგენა იმართება საქველმოქმედო აზრით (ბიბლიოთეკის სასარგებლოდ), მეორე წარმოდგენა-კი გაიმართება 2 აგვისტოს.

შეცდომის გასწორება

იურიევიდან „ცნ. ფურც.“ სწერენ „ბოდიშს ვიხდი და ვჩქარობ გავასწორო ჩემი შეცდომა. გწერდით, რომ დაიწვა სტუდენტების წიგნები, ტანისამოსი და სხვა ავეჯი-მეთქი. ეხლა გავიგე, რომ ყოველივე ეს ამ ცოტა ხნის წინად ერთ ამხანაგს თავისთან გადაუტანია და ამის გამო, ჩვენდა სასიხარულოდ, გადარჩენილა.“

ხმა სანაპიროდან

(შემდეგი*)

III

„მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჰინკველაც ჩემი მტერია,
ერი, ბერი და ბატონი ყველა მე შემომცქერია!
ნეტავი გამაგებინა, როდის-ღა მომასვენებენ?
ვერ შევესწრობი, მგონია, სანამ არ წამაწვენენ!
რ. ერისთავი

იქ საუკუნო განსვენება და აქ სამარადისო ხსოვნა ნეტარხსენებულს რაფიელ ერისთავს მისთვის, რომ მისს მადლიან კალამს თანდაყოლილი ჰქონდა „ტეტიებსა“ და „ბატონებს“ შორის არსებულ წესების უტყუვრად აწონვისა და შეზომვის ნიჭი! აბა, მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე, რომელი ჩვენებური გლეხკაცი არ იცნობს აქ ჩვენს გოგიასა და ივანიკას, ან თუ თითონ ესენი სარკესავით არ დაინახავენ იმას, რაც თავს გადახდათ და დღესაც ხდებათ! უწინ თუ ამ ლექსში ჩამოთვლილები შემოსცქეროდნენ და სწიწკნიდნენ, დღეს სხვებიც მიემატნენ ამ „მწიწკნელთა“ რიცხვს: მოუსავლობა, წყალდიდობა, „გამორჩენის მსურველნი“ და სხვანი, ხოლო ჩვენს სანაპიროში ეს „წიწკნა“ საარაკო და დაუჯერებელია და დღეს ამაზედ მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ.

წინა წერილებში ჩვენ განვიხილეთ, სად მუშაობს სანაპიროელი ან რა რჩება ამ ნამუშავრიდგან; ახლა შევხედოთ მისს „ეზოის“ მიწას, ესე იგი იმ ადგილს, სადაც გლეხმა ძირი უნდა გაიმაგროს და მთელ თვის ავლა-იდების ბუდედ უნდა გახადოს. თუ გლეხი მესაკუთრეა, მისს ბინადრობასაც ასე თუ ისე მკვიდრი საფუძველი აქვს ჩაყრილი; თუ ბედმა მესაკუთრეობა ააცილა, მაშინ ხომ მისი მოსახლ-კარყობა საიმედო არ არის და სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სანაპიროში მესაკუთრე გლეხს მისისავე წოდების მსახურისშვილები რაღაც განსაკუთრებულის პატივისცემით უყურებენ და საზოგადოებაშიაც უფროს კაცებად მიაჩნიათ; საერთოდ მესაკუთრენი უფრო შეძლებულნი არიან, ვიდრე არა-მესაკუთრენი.

ჩვენს სანაპიროში მესაკუთრე გლეხთა რიცხვი კარგა დიდია, ხოლო ის-კი სათქმელია, რომ ეს თავის დახსნის დროს მიღებული საკუთრება მაშინაც მცირე იყო და დღესაც მცირეა: ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ კომლს მიუზომეს ორი ქცევა; მართალია, ბევრმა გლეხმა შემდეგში შეისყიდა მის ეზოზედ ახლოს მდებარე მიწები, მაგრამ ორმოცის წლის განმავლობაში ერთი ოჯახი სამად-ოთხად გაიყო და დღეს თითო ოჯახის კუთვნილება მიწა ძლივს იმდენია, რომ ზედ სახლკარობა და ეზო თავსდება, სამუშაოდ კი სხვაგან უნდა წავიდნენ. ავად თუ კარგად ამისთანანი ამ უკანასკნელ წლებამდე ბედს არ უჩიოდნენ და ჩვენც ჯერ ამათ აღარ ვეხებით, ხოლო ამათ გარდა აქ არიან გლეხნი, რომელნიც მოგაგონებენ იმ უპატრონო ეკკლესიის ამბავს, რომელსაც ეშმაკები დაეპატრონენ. 40—50 წელიწადი მიდის, ერთი-ორი თაობა გამოიცვალა და დღემდე ეს უპატრონო გლეხი გააქვთ და გამოაქვთ „ერს, ბერს და ბატონს“. ხუმრობა-კი არ გეგონოთ და საქმე ასეა: ხაზინა, მებატონე და ეკკლესია ერთმანეთს ეცილებიან, ესა და ეს გლეხები არა ჩემი არის, არა ჩემიო და სანამ თითონ გლეხს ჰკითხავენ, ვისი ხარ ან ვისი უნდა იყო კანონით, ან ვისად სცნობ შენს თავსაო, [illegible] სამივე მისდგომია და ახდევინებს „ეზოის ფულს!“ აბა, თავის დახსნა და მესაკუთრეობა ხომ ყოვლად შეუძლებელია ამგვარ გარემოებაში. ამ კვლევა-ძიებაში, უკეთ რომ ვსთქვათ — უკვლევ-უძიებლობაში იგდის ორმოცი წელიწადი, გადასახადები სამივეს უხდია, ნელ-ნელა [illegible] ამ ჯურის გლეხების ისედაც [illegible].

ამ საქმის შესახებ შარშან ივლისში ერთხელ კიდევ იყო სჯა-ბაასი ჩვენს ქალაქში, სადაც დაბარებული იყო ამ კატეგორიის სანაპირო გურიის გლეხნი. ეს რიცხვი იმ დროინდელია, როცა საქმე დაიწყო, დღეს-კი ვგონებ ორასზედ მეტი მოსახლე მაინც იქნება. ეს საწყალი გლეხობა და იმათი საქმეც ყურადღების ღირსია. ჩვენ შემთხვევა გვქონდა გავცნობოდით მთლად ამ საქმის წარმოების გადაწერილ პირს (копія), რომელიც ხელმოწერილია 17 ივლისს მომრიგებელ შუაკაცის მიერ; ვსარგებლობთ იქ მოყვანილი ცნობებით.

[illegible]რვა წლის წინად თ-დმა თევდორე ნაკაშიძემ მიჰმართა ოზურგეთის მაზრის მომრიგებელ შუაკაცს შემდეგის თხოვნით: ჩვენს ნაკაშიძეოში სცხოვრობენ ხიზნები, რომლებიც ეზოის ფულს არ გვაძლევენ და გთხოვთ დაადგინოთ იძულებით გადახდეს იმათ ეს ფულიო; თან წარუდგინა ამ გლეხთა სია.

ამგვარივე საჩივარი სხვა ნაკაშიძეებსაც ჰქონდათ განცხადებული. ოზურგეთის მომრიგებელ შუაკაცად იყო თ-დი ნაკაშიძე. მემამულემ თ. მ. მ. ნ—ძემ ითხოვა, საქმის გარჩევა სხვას მიენდოსო და ამიტომ ამ საქმისთვის დაინიშნა თ. მხეიძე, სენაკის მაზრის მომრიგებელი შუაკაცი. შარშან ივლისში თ. მხეიძემ დაიბარა ხვარბეთისა და მიქელ-გაბრიელის ხსენებული გლეხები მამასახლისებიანათ და შეეკითხა გლეხებს საქმის გარემოებას. ერთმა ნაწილმა თავისი თავი აღიარეს სახელმწიფო გლეხებად; მეორემ—საეკკლესიოებად, ერთმა კომლმა მესაკუთრეობა განაცხადა, საბატონოდ-კი თავი არავინ იცნო. ს. სამლოთოს მცხოვრებნი გობრონიძეები და ზოიძენი ამბობენ: ჩვენ ვიყავით გურიელის კაცი; სამთავროს გაუქმების შემდეგ ხაზინას ვეკუთვნით და სახაზინონი ვართო. ს. მიქელ-გაბრიელისა და ზედობნის გლეხები ხომერიკები აცხადებენ: რაც თავი გვახსოვს, საეკლესიონი ვართ, ჯვარის-მამას ვეკუთვნით, გარდასახადსაც იმას ვაძლევთო და სხვა.

მომრიგებელ შუაკაცის მიერ ცნობათა მოკრებამ აღმოაჩინა შემდეგი: 1858 წელს, ესე იგი იმ დროს, როცა ჩვენში ჯერ სრული ბატონ-ყმობა იყო, ქუთაისის გუბერნატორმა კოლიუბაკინმა სამხედრო ძალის დახმარებით (при помощи военной силы) გადაახდევინა ამ გლეხებს ეზოის ფული თ-დ ნაკაშიძეების სასარგებლოდ, მაგრამ საქმე საშემდეგოდ მაინც სადავოდ დარჩა. 1881 წელს მომრიგებელმა შუა კაცმა იხელმძღვანელა კოლიუბაკინის მოქმედებით და [illegible] დადგენილებით დააკანონა ეს გარდასახადი. შარშან ივლისს მომრიგებელმა შუა კაცმა თ. მხეიძემ საბუთად იხმარა ზემოხსენებული ორი გარდაწყვეტილება და დაადგინა: „გადახდეს წლიურად 3 მ. 50 კ. ყველა სიაში მოხსენებულ გლეხებს თ-დ ნაკაშიძეთა სასარგებლოდ, ზოგს თერთმეტის წლისა (38 მ. 50 კ.), ზოგს ათისა (35 მ.), ზოგს ხუთისა (17 მ. 50 კ.) და სხვა; „ეს გარდაწყვეტილება სისრულეში მოყვანილ იქმნას ამ თავითვეო,“ —თავდება დადგენილება, ესე იგი ეს ფულები აკრეფილ იქმნას გლეხების ახრივ განსაჩივრების მიუხედავადაო.

ჩვენ არ შევუდგებით იმის ძიებას, რომელი დადგენილება როგორი არის კანონიერების მხრივ; ვიტყვით მხოლოდ რომ ეს საქმე არ გარჩეულა სასამართლოში, თუმცა ჯერ კიდევ იმავე კოლიუბაკინის დროს არსებობდა ჩვენში საგუბერნიო სასამართლო (Губернскій судъ), შემდეგ-კი დღეს არსებული სასამართლოები; ეჭვი არ არის, საქმის წარმოებაში მებატონეების ხმა იყო საქმის გადამწყვეტი, გლეხობა-კი მოკლებული იყო, როგორც საქმის ცოდნას, ისე თავის ინტერესების დამცველ ვექილს. გლეხები, რომლებმაც მომრიგებელ შუა კაცთან თავი სახაზინოებად აღიარეს, დღემდე ყოველ წლიურად იხდიდნენ და იხდიან სამ მანათს სახელმწიფო ბეგარასთან ერთად; ამავე დროს იმასვე სთხოვს მებატონე: „მოიტა სამ მანათ ნახევარი ეზოის ფულიო“. თუ მამასახლისი მებატონის ხელქვეითი ყმახია, ეგრედ წოდებულ „გამოხიბაკვით“ ახდევინებს გლეხს ეზოის ფულს, ესე იგი ძალით ართმევს: ნოხს, ფარდაგს, სპილენძის ჭურჭლეულობას და სხვას.

კარგი, მაგრამ გუშინ ხომ იმავე მამასახლისმა ხაზინაში ჩემი სამი მანათი გაგზავნა, ის რაღა იყო? ამას არავინ კითხულობს და ან რა საკითხავია: „ყმახს მაგით რა უჭირს, კიდევ-კი მოთოხნისო“, —ამბობენ. ესეც კარგი, მარა ახლა ხომ ამგვარმა გარდასახადებმა ყმახი დაასუსტა, დააუძლურა, —მამა მისი რომ ზორბა იყო, კანში არ ეტეოდა და შვილი რომ დღეს ასე დაჩიავებულა—დაპატარავებულა, ეს რაღა არის? „ჯანიც გავარდეს და სულიცაო“, ბრძანებს გულ-ქვავი ფილოსოფია ზოგიერთისა და ჩვენც რა უნდა ვსთქვათ.

ამ ორის გარდასახადის სამაგიეროდ გლეხს აქვს ეზო, ესე იგი ერთი, ორი ან სამი ქცევა გაფხეკილი „თხუნებარი“, მეტი არც სახნავ-სათესი, არც სათიბ-საძოვარი; შეშა ეძლევათ მხოლოდ დაკლებულ ფასად.

ვთქვათ, გლეხს მოსწყინდა ეს დავიდარაბა, როგორც იყო წელებზე ფეხის დგმით იყიდა სადმე საკუთრად მიწა და დასახლდა; ეს გარდასახადი სახაზინო ხომ თან მიჰყვება და ამასთანავე მებატონეც ეპატიჟება: ჩემი წლიური სამ მანათ ნახევარიც მომციო. რამდენად კანონიერია ამგვარი მოქმედება, ეს მკითხველმა განსაჯოს.

(დასასრული იქნება).

ვ. ს—პირელი.

ჩვენს არე-მარეში

ბ. ბათუმი (ფოსტის გაძარცვა ართვინის გზაზე). დღეს 22 ივლისს, დილის თორმეტის ნახევარ საათზედ, ბათუმიდგან გავიდა ართვინში ფოსტა. სოფელ ს. ორონში უნდა გაეთია ღამე, მაგრამ ხუთი ვერსი დარჩენოდა ბორჩხამდე, რომ ტყიან და მიუვალ ხეობიდგან დაუშინეს ავაზაკებმა თოფის სროლა. მოჰკლეს ფოსტის წინ მიმავალი ჩაფარი (სულ ორი ჩაფარი აცილებდა). დაინახა თუ არა ეს ფოსტის მთხელემ, გადმოხტა ეტლიდგან და დაიწყო რევოლვერის სროლა, მაგრამ ავაზაკებმა ამასაც ესროლეს თოფი და იქვე მოჰკლეს; შემდეგ მძიმედ დასჭრეს უკან მიმავალი ჩაფარი; მეეტლე კი გადმოხტა და იქვე ბუჩქებში დაიმალა. სულ ფოსტას ორი ტყავის პარკი მიჰქონდა—ერთი ამანათებით სავსე, ხოლო მეორე ფულიანი იყო.

ავაზაკებმა თურმე [illegible] ამანათიან პარკს და [illegible] ფულიანს, რომელშიაც 15,700 მანეთი ეწყოდა, მოიტაცეს.

მაშინათვე მიიღეს სასტიკი ღონისძიებანი: ბათუმის ოლქის უფროსი და თვით სამხედრო გუბერნატორი გამომძიებლითურთ, იმავე საათში გაემგზავრნენ ფოსტის გაძარცვის ადგილისაკენ. ჯერ არავითარი შედეგი არაა. ამბობენ, იქვე მდ. ჭოროხის ნაპირას ნავი უცდიდა და იმითი გადავიდნენ სათათრეთისაკენაო; ზოგი კი ამბობს, —გურულები იყვნენ და ტყის ბილიკებით აჭარის მთებისაკენ წავიდნენო.

ფოსტის მოხელე კახელი აზნაური სოფ. შაშიანის მცხოვრები დათიკო გოგოლაშვილი ის-ის იყო გამწესებინათ ართვინში, მოვიდა ბათუმს და ელოდდა ართვინის ფოსტას, რომ გაჰყოლოდა. პირველად წაიღო ფოსტა და ძლიერ უხაროდა, როცა ხმალ-რევოლვერით შეიარაღდა და თავმომწონედ ჩამოჯდა ფოსტის ეტლზედ. „მიხდება თუ არა ეს იარაღიო“, —იქვე მდგომთ მოგვიბრუნდა და გვითხრა. „კახელი ხარ და როგორ ვერ შეიშვენებ იარაღსაო“, —უთხრა ერთმა ამხანაგთაგანმა, —და გასწიეს იმ უბედურ ადგილისაკენ, სადაც შესწირა თავისი სიჭაბუკე (სულ 18—19 წლის ჭაბუკი იყო) [illegible] ჯამაგირისათვის თვეში!..

ტრ. ინასარიძე.

P. s. გწერთ ყოველსავე ამას პირველ შთაბეჭდილებისამებრ საჩქაროდ. დაწვრილებით შემდეგ.

ტ. ი.

აბასთუმანი. ცხოვრება აბასთუმანში ძვირი არ არის. ყოველგვარი სანოვაგე ძრიელ ბლომად იშოვება. რძე, კარაქი, კვერცხი, ქათამი, ყველი და სხ. [illegible] ხორცი პირველის ხარისხისა 10 კაპ. („[illegible]“), მეორე კი 9 და 10 კაპ. მაგიერად მოტანილი საქონელი (ხაო, შაქარი, ხავთა, და სხ.) კი უფრო ძვირი არის; ერთის სიძვირეს ჰფარავს მეორის სიიაფე და ცხოვრება ისე ჩადის, როგორც ტფილისსა და ქუთაისში.

[illegible] კარგი შეკრებილა, თუმცა ახლა ზოგიერთი წესი სრულიად აღარ სრულდება. სავალდებულოდ დადგენილებით აკრძალული არის ხმა-მაღლა ხმაურობა, ფაეტონის ჩქარა სიარული, ქუჩები ინახება სუფთად და [illegible]; თითქმის ყოველ სახლს აქვს ქუჩის ფარანი, მუსიკა უკრავს ყოველდღე, თუ პარკში, თუ რომელსამე „რესტორანში“.

არაფერი არ სრულდება თავისს წესზედ, გარდა მუსიკის დაკვრისა, თუმცა [illegible] სამხედრო მუსიკა ხშირად უფრო უშლის ხერხებს ავადმყოფებს, ვიდრე უშმვიდებს. ღმერთმაც უშველოთ, ბევრის დაკვრით თავს

ფელეტონი

გამიშვით, დავფქვა ჩემი დარდი წისქვილზედ!

(ამბავი)

I

გაზაფხულის სამხური დილა იყო. ახლად ამოსულ მზეს ჯერ საკმაოდ არ გაეთბო დედა-მიწა. მით მომეტებულ საგრძნობელი სიგრილე ჰსუფევდა იმ აკლაკნილ-დაკლაკნილ ბილიკზედ, უშველებელ ტყის ჩრდილში, რომელზედაც მოგოგავდნენ მე და ნიკოს სქელ-გავა ლურჯები. დინჯადვე მოგვდევდა უკან ჭოლარა გლეხი სესიკა, რომელიც, ვერ იტყოდით, ჩვენ სჯა-ბაასს უგდებდა ყურს, თუ სიამოვნებდა მშვენიერის ჰავით, სტკბებოდა ნაზისა და წორჩის ფოთლებით შემოსილ ტყის მზერით, ან გზის პირს ამოსულ ყვავილების თვალიერებით.

— ჰეა, ეს რა ჩოჩქოლია ამ პატარა სოფელში!—წამოიძახა სესიკამ, როცა ყველანი ველზედ გავედით და იქვე მოთავსებულ პატარა სოფელს დავუპირდაპირდით. მართლაც, დავინახეთ, რომ ერთ მიწურ სახლისაკენ მირბოდა დიდი და პატარა ამ სოფლისა.

— ჰაი, რომ მაგას კარგი სახრეები უნდა, თვარა ლამისაა სოფელი გააგიჟოს!—დაიძახა ერთმა ჩიბუხის ბოლვით მიმავალმა გლეხმა და თან ხელში გადაზნიქ-გადმოზნიქა რბილი იფნის სახრე.

— რას გაჰგიჟებულხარ, გიო! მაგის ცოდვით ქვეყანა იწვის, შე კაი კაცო, მაგას რაღა ცემა უნდა?!

— ღვთის მადლმა, რომ ცემა არგებს მაგას. ეგ პირშავი ჩემი ძმაც მე გიჟს აჰყოლია და შვილებს აწიოკებენ, ხალხს ჯანი გაჰვარდეს... კერაზედ თავებს იძვრებენ...—სთქვა გაჯავრებით და შეიჭრა სახლში.

გიოს სახლში შესვლა და იქიდან თმაგაწეწილ ციბრუტივით გამალებული თეთრ-კაბა დედა-კაცი გამოვარდნა ერთი იყო. თვალის დახამხამებაზე იგი ავარდა შუა სოფელში მდგარ მაღალ ბოძზე, ზედ კელეპტარივით გასწორდა და საზარელის ხმით გაჰკიოდა: ურწმუნონო! ურჯულონო! უქმის გამტეხნო, ღვთის მგმობნო, დაუნდობელნო, ცრუნო, მობიზღარნო! შეინანიეთ, შეჰღაღადეთ წმიდა გიორგის, წმ. ელიას, ჩვენს ღვთის მშობელს, თორემ გაგწყვეტთ, გაგგლეჯთ, მოუსავლობით გაგანადგურებთ, ჭირით საქონელს გაგილევთ!!!—ამ დროს ჩამოიკრა ლოყებზედ ბჭყალები და სისხლი თქრიალით გადმოვიდა.

— უჰ!—დაიკვნესა ხალხმა.

— დაიჩოქეთ! — დაჰკივლა თეთრკაბამ.—მიწა ლოკეთ, შეჰღაღადეთ ღმერთს, თვარა ზეციდგან ცეცხლს გადმოვისვრი და დაგბუგავთო,—ბრძანებს წმიდა ელია!..

ხალხმა დაიჩოქა, იწყეს მიწის ლოკვა, გულში ცემა. ღაღადი...

— დახე ურწმუნო ზურაბს! უქმის მტეხო, მოსისხლე, მრატო; ღვთის მაბეზრებელ-მლანძღველო, დაიჩოქე! ლოშნე მიწა, თორემ გაგაქრობო,—ბრძანებს წმ. გიორგი!—დაჰკივლა თეთრ კაბამ ძირს მდგომ მოხუცს და ესეც გმინვით დაემხო მიწას, იწყო მისი ლოკვა და ღაღადისი...

— გიო, ჩემო მაზლო, ურწმუნო, გაუტეხავო! მოვიდა წმ. გიორგი ცეცხლის მათრახით! გაგვართე შუახედ, შე უბედურო!.. ამოგებუგა სახლ-კარი, ცოლშვილი!..—დასძახა თავ-გამწირულმა დედაკაცმა.

შეჰკრთა გიოც... შედრკა ის, ვინც მარტო ედგა წინ სოფლის გაგიჟებას... ორი დღე მეტი ხალხს ხან არიგებდა, ხან სტუქსავდა: „ნუ აჰყოლიხართ გიჟსაო“...

სამწიდად გაიზმორა იგიც... დაავდო პირიდგან ჩიბუხი, შემოიკრა თავში მუშტები და შესძახა:

— ვაი ჩვენს ურწმუნოებას, ვაი ჩვენი ცოდვის გადიდებას!.. შევჭამეთ ერთმანეთი!.. აღარ ვიწამეთ თვის-ტომი... შებრალება აღარავისი გვაქვს!.. გვიშველე, ელიავ, წმ. გიორგივ, წმ. მარინევ! სამღვთოს დაგიკლავთ, ფერხთ დაგიკოცნით, მტლად დაგედებით!.. გამომყეთ, ხალხო, საყდრის კარს! სამღვთოები დავუკლათ... შევევედრნეთ...—და გაჰქანდა საკინძე-ჩამოგლეჯილი დანგრეულ საყდრისკენ... ახკინკილით შემოურბინა საყდარს გარსა და ბოლოს დავარდა საყდრის კარებში პირში ქაფ-მოსული, ტანით მანჭული... ყველამ სამღვთო დაკალით!.. შეჰღაღადეთ!.. ურწმუნონო!..—ბღაოდა გიო, ხოკავდა მიწას და გლოავდა საყდრის კარს...

მალე რძალიც ჩამოხტა ბოძიდან და მაზლს მოუმხტა საყდრის კარებთან მიწის მეხოკნელივით და გულში ცემით მღაღადებელი...

ბევრი გლეხთაგანი გაექანა ცხვრის ფარისაკენ. მოიყვანეს ბატკნები და დაკლეს. ათამდის მეტმა ბატკანმა იწყო ფართხალი ეკკლესიის გალავანში.

— ეგ არ მიჯერიანო! თეთრავ, შე ურწმუნოვ! ბრძანებს უფალი, ის დამიკალ, რომელიც გულით გიყვარსო!—შემოსწივლა თეთრკაბამ ახლგაზრდა შეძლებულ მწყემსს, რომელმაც დაკლული ბატკანი იქვე დასტოვა, გაიქცა ფარაში და საუკეთესო ბატკანი მოიყვანა...

ტიროდა ხალხი... კვნესოდა... ყურთა სმენა აღარავისი იყო. მაზლმა და რძალმა აიყოლია მთელი ხალხი...

II

ამ დროს მეორე სოფლიდან მოვიდნენ მამასახლისი, გზირები და რამდენიმე იმ სოფლის კაცნი, რადგან გაეგოთ, რომ „მთელი სოფელი გაგიჟდაო“.

— შენ რაღამ გაგაგიჟა, გიო,—დაუყვირა მამასახლისმა,—თითქო ჰკვიან კაცს გეძახდნენ!..

— გიჟი შენა ხარ! შე ურჯულო, სოფლის ცოდვებით გაღიპულო! დაიღუპე აქედან!—ბღაოდა გიო ეკლესიის კარებში და თან მიწას ჰხოტნიდა...

შეკრთა მამასახლისი. შენიშნა ეს ერთმა მამასახლისთან მოსულმა მოხელემ ოჯახიანმა გლეხმა და დაიძახა: რას დაჰყურებდი, მამასახლისო! შეჰკარ ეგ გიჟი, ჰხედავ, ხალხს აგიჟებს და ჰღუპავს?!

— ჰაი, შე სულ წაწყმენდილო, ეშმაკების ლუკმა, ჯუროვ! შენ უნდა შეჰკრა მე! მე?! ღვთის ღაღადისი?!—შესძახა ესა გიომ და შეხტა იქვე დანგრეულ საბძლიდგან დარჩენილ ერთ მაღალ ბოძზედ გადებულ საყვავეზედ. გამალებული გარბოდა გიო ამ საშინელ სიმაღლეზედ გადებულ წვრილ საყვავის ხეზედ და თან დაიძახოდა მამასახლისს, ჯურას: ამოხვალთ აქ, ცოდვილნო?! გადირჩებით ღმერთი?!.

— ჩამოვარდება ეს ეშმაკი და მოკვდება, სოფელს მოსწყდება!—დაიძახოდა მამასახლისი და მასთან მოსული ხალხი. გაოცებული სოფლელნი-კი შეჰღაღადებდნენ ცას, წუხდნენ...

— შენ ფიქრი ნუ გაქვს, თხების მამასახლისო, ეშმაკების ბიძავ! მე ღმერთი მფარავსო, ამბობდა გიო და უფრო გამალებული გარბოდ-გამორბოდა საყვავეზედ. ბოლოს ერთი საზარლად დაიძახა: „გამიშვით, დავფქვა ჩემი დარდი წისქვილზედო“! გადმოხტა საყვავიდან და გაიქცა ღრმა წისქვილებისაკენ...

— ჰარიქათ, ხალხო, ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთ, თვარა თუ წისქვილი ნახა, მაგის მორჩენა აღარ იქმნება! *)—უყვიროდა ხალხი, იძახოდა მამასახლისი და მისდევდნენ გიოს.

ჯურა წამოეწვდა პირველი, სტაცა კისერში ხელი, წააქცია მიწაზედ და დაუწყო ცემა, რადგან გიო არ ჰნებდებოდა. მეშველნი მოვიდნენ და მიხვდნენ კარგა არ სცემდეს, ვერ შეკრეს გიო თოკებით, მოიყვანეს და მიაბეს ბოძზედ.

გაბრაზებულმა ჯურამ თეთრ-კაბასაც

---

*) იხ. „ივერია“ № 108.

*) ჩვენის ხალხის რწმენით, გიჟმა თუ წისქვილი ნახა, მისი მორჩენა შეუძლებელია.

ავტ.

არ იტკენს. ორის საათის განმავლობაში დაუკვრენ ხოლმე ექვსჯერ ან და რვაჯერ. მეეტლეები ისე ერეკებიან ცხენებს, თითქო დიდი გაემართოთ და გამვლელ-გამომვლელი მუდამ აქეთ-იქით უნდა იყურებოდეს და გზას უხვევდეს, თორემ ადვილად შეიძლება დაეტაკოს, რადგანაც გაფრთხილებას დაჩვეულნი არ არიან. ქუჩები არ იგვის ისე, როგორც რიგი მოითხოვს, განსაკუთრებით „რომჩები“, სადაც უოველდღე იკრიბებიან ავადმყოფები. სანიტარული კომისია, მგონი, აქ ზამთრობით უფრო მუშაობს, ვიდრე ზაფხულობით. ქუჩების გვერდებზედ ჩაუდის წყლის თხრილები, ამ თხრილებიდან იღებენ წყალს და რწყავენ დღეში ერთჯერ ქუჩებს. სამწუხაროდ, ამავე თხრილებში ასხამენ მცხოვრებლები უოველსავე ნარეცხს, ნაბანს და სხვ. მამასადამე, წყალი ფუჭდება და ამ გაფუჭებულ წყლით ირწყვის ქუჩები. უმთავრესი უურადღება აქაური პოლიციისა უნდა მიექცეს ქუჩების, ეზოების და „რომჩების“ მადამოების სიწმინდეს. „რომჩებში“ ბუფეტის წინ თუ ოდესმე იგვება, თორემ დახარჩენს ვინ უგდებს ყურს. თუ ფრთხილად არ იქნა მოსეირნე, ფეხებსაც გაისვრის სიბინძურეში.

თითქმის უოველ საგარაკო სახლის წინ არის ფარანი, მაგრამ ძალიან ცოტანი ანთებენ; რაიცა შეეხება ქუჩის ფარნებს, ისინი კი იშვიათად და ძალიან ცოტა სინათლეს იძლევიან, დამის თერთმეტის საათის შემდეგ-კი, როგორც ამბობენ, სრულიად ქრება.

ფოსტის წეს-წყობილებაც რაღაც საკვირველია. როგორც ამას წინად იყო დასტამბული „ცნობ. ფურც.“-ში, ქუთაისიდან ფულის მიღება სჭირდება რვა დღე. წერილებსაც რომ აგვიანებენ, ფული მომდგარი და არც ხაცხოვრები შემცს აქ. რა უნდა ჰქნას? როდესაც ერთმა ჩემმა ნაცნობმა ჰკითხა ფოსტის კანტორის უფროსს, რად დაიგვიანა ფულმა, მან უპასუხა, რა ჩემი ბრალიაო. შეიძლება მისი ბრალი არ იყო, მაგრამ მეძლო მაინც აეხსნა მიზეზი.

საზოგადოდ აქ ცხოვრება ძლიერ ძვირად ჯდება. მართალია, სანოვაგე არ არის ძვირი, მაგრამ, სამაგიეროდ, უოველ ფეხის გადადგმაზედ ჯიბიდან ფული უნდა ამოიღო. როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სახლი ძვირი არის. გარდა ამისა, მოხველ თუ არა, უნდა აიღოთ სეზონის ბილეთი, რომელიც ჯდება თითოსათვის სამი მანეთი, თუ ოჯახეულობას ხარჯავთ და გაქვთ სამზარეულო, უნდა გადაიხადოთ სამი მანეთი სამზარეულოს ნაგავის გადასახადი. უსამართლობაა, როგორც არ არის, ვისაც აქვს დაქირავებული ერთი ან ორი ოთახი და პატარა სამზარეულო, უნდა გადაიხადოს იმდენივე, რამდენსაც იხდის დიდის ბინის მქირავებელი, მაგალითად, ათის ოთახისა. სამართლიანობა მოითხოვდა, დიდზედ და პატარაზედ განსხვავება ყოფილიყო. თუ საკუთარი ეტლი ან ცხენი გყავთ, მაშინაც უნდა გადაიხადოთ პატენტის გადასახადი ხუთ-ნახევარი და ორი მანათი. სისუფთავე ძლიერ კარგია, მაგრამ დიდი დანაშაული არ იქნებოდა, რომ ეზოს სისუფთავე სახლის პატრონისათვის ყოფილიყო სავალდებულო. ორი ოთახი 250 მან. და ეზოს გასაწმენდი კიდევ სხვა. ორ-თვეში შეიძლება ორი-სამი „ტაჩკა“ ნაგავი მოგროვდეს და გადასატანი-კი სამი მანათი უნდა გადაიხადოს ხელ-მოკლე მოაგარაკემ.

აქაური ექიმები თითქმის უველას ავალებენ „ვანების და დუშების“ მიღებას, თითო ბანება ღირს დაწესებული ექვს შაურიდან ვიდრე სამ მანეთამდისინ იმის მიხედვით, თუ ვის რას დაუნიშნავენ.

ამ რიგად აბასთუმანში ექიმობა ძლიერ ძვირად ჯდება. მდიდრებისათვის აქ ჩამოსვლა და ცხოვრება არაფერია, მაგრამ უმეტესი ნაწილი-კი ღარიბი ანუ ხელ-მოკლე არის და ხშირად ნასესხების ფულით მოდის. ამისათვის საჭიროა ჩვენი ექიმები სიფრთხილით და დაკვირვებით მოეპყრან ავადმყოფებს აბასთუმნისაკენ გამოსტუმრების დროს და მთლად უიმედო ავადმყოფს ნუღარ გამოგზავნიან, მით უმეტეს რომ, გარდა დიდის ხარჯისა, ავადმყოფები ძლიერ იტანჯებიან მგზავრობაში. ვისაც თითონ არ უმგზავრია, ის ადვილად ვერ წარმოიდგენს, თუ რამდენი უსიამოვნობა შეხვდება ავადმყოფს ან რკინის გზაში და ან მეტადრე ეტლით მგზავრობის დროს*).

მოაგარაკე

ქუთაისი. კარგა ხანია მას აქეთ, რაც ქუთაისის ნოქრები ცდილობდნენ, აეცილებინათ თავიდგან ის აუტანელი შრომა და ჯაფა, როგორიც არის 16—17 საათის შრომა და ფეხზედ დგომა სავაჭროში. ამისათვის ბევრს საშუალებას მიმართეს, მაგრამ არა გამოვიდა რა. არც ქალაქის საბჭომ დააკმაყოფილა მათი სრულიად კანონიერი მოთხოვნილება, რადგანაც საბჭოში დიდი უმრავლესობა ადგ-ვაჭრები არიან და ვაჭართა მოკავშირე მეგობარი „[illegible]“.

ნოქრებმა, რადგან დარწმუნდნენ რომ თხოვნით და „ლოლიასით“ არა გამოვა რა, და საჭიროა უფროსმა ადამიანმა თვით იზრუნოს თავისთავისათვისაო, მიჰბაძეს ტფილისის ნოქრებს და ამ ერთის კვირის წინად საღამოს რვა საათზედ ყველა ნოქარმა დასტოვა სავაჭრო და გამოვიდა გარეთ. მეორე დღეს დილის რვა საათამდის არც ერთი ნოქარი არ მისულა სავაჭროში. ამ გვარად უდავოდ დაიდვა ქუთაისში წესი ვაჭრობისა:—დილის რვა საათიდგან საღამოს რვა საათამდე.

ვრიხარი—დაუსრულებელმა და სიხარბით გახელებულმა ნაწილმა ვაჭრებისამ წინააღმდეგობა გაუწია ნოქრების კანონიერ მოთხოვნილებას და მიჰმართა სხვა-და-სხვა საშუალებას: „არიქა, მიშველეთ! ჩემი ნოქარი ინსტრუქცია, [illegible], დაიჭირეთ, და სხვა-და-სხვა... დარჩენოდა გონებაც რამდენიმე ნოქარი, მაგრამ მეტად გადაჭარბებულ [illegible] არა გამოვიდა.. დღესაც დილის რვა საათიდგან იღება სავაჭროები ქუთაისში და საღამოს რვა საათზედ იკეტება.

ზოგიერთ გალაღებულ ვაჭრებს, რომელიც არავითარ შემთხვევაში თავის დროზედ არ ჰკეტავდა სავაჭროს, ფანჯრები მიუღეწეს და დღეს საქმე სისრულეშია მოყვანილი...

მართალია, არიან დღესაც ქუთაისში ისეთი ვაჭრნი, რომელნიც ვერ დაწყნარებულან, ვერ შეჰრიგებიან იმ აზრს, რომ მოჯამაგირე ნოქარიც ადამიანია და ადამიანისათვის სრულებით საკმარისია დღეში თორმეტი (12) საათის მუშაობა და ფეხზედ დგომა (რვიდგან—რვა საათამდის) და რომ ნოქარსაც, როგორც ყველა ადამიანს, ესაჭიროება თავის დროზედ დასვენება, გავლა-გამოვლა, სმა-ჭამა და ცოლ-შვილში ყოფნა....

ერთი ამ გვარი გალაღებული ვაჭართაგანი იმახებულა ქუთაისში საგალანტერეო საქონლით მოვაჭრე ფარნა გაბუნია... ამ სოვდაგარს ნოქარი და პირუტყვი ერთად მიაჩნია და დარწმუნებულია რომ, რადგანაც მასთან მოჯამაგირედ არის და ჯამაგირს აძლევს, მისი სულიც ხელში აქვს და, როგორც სურს ამ გვარ სოვდაგარს, თუნდა დღეს დააქრობს წრაქივით მოჯამაგირის სულსა და ხორცს და თუნდა ხვალ!!.

ორშაბათს ივლისის 21-ს დილის რვა საათზედ სასიკვდილოდ გაიმეტა ფარნა გაბუნიამ თავისი ნოქარი იაზუსაიშვილი და რევოლვერი დასცა მოსაკლავად. ტყვია ნოქარს, თავის სისწრაფით სასიკვდილოდ გამზადებულ ხელის გულში მოხვდა, ხელი გახვრიტა ტყვიამ და თავს-კი, მისდა საბედნიეროდ, ასცდა... საქმე ამ გვარად ყოფილა:

ა-ხი ფარნა გაბუნია საზაფხულოდ ბორჯომში წაბრძანებულიყო მოსასვენებლად. ერთ რომელღაც მეგობარს მიუწერია ბორჯომში ფარნა გაბუნიასათვის წერილი: „არიქა, მიუშველე შენს სავაჭროს, თორემ იღუპები! შენი ნოქრები საღამოს რვა საათზედ კეტავენ შენს მაღაზიას და დილის რვა საათზედ აღებენ და კვირა-უქმეს ხომ სულ დაკეტილია და დაკეტილიაო, და სხვა-და-სხვა.

ამ ამბით გახელებული ფარნა გაბუნია, წერილის მიღებისა თანავე, კვირას, 20 ივლისს წამოსულა ბორჯომიდგან, მისულა ქუთაისში, შეუთხოვს და, რაც მიუწერიათ დაკეტვა-გაღების შესახებ, მართალი გამოდგარა.

ივლისს 21, ორშაბათს დილით ადრე ამდგარა ფარნა გაბუნია, გაუტენია რევოლვერი, ჩაუდვია ჯიბეში და გადაუწყვეტია: „ვინც მე მღუპავს, მეც უნდა დავღუპოო“ და მირი-ასლიდგან უთვალ-თვალებია თავის მაღაზიისათვის: „აბა, როდის გააღებენო“. რვა საათამდის მაღაზია არ გაუღიათ ნოქრებს. გაღებისთანავე შევარდნილა ფარნა გაბუნია თავის მაღაზიაში და გაუგონებელი მოუთხოვნია პასუხი ნოქარ იაზუსაიშვილისაგან: „როგორ ბედავთ, დილის რვა საათამდის არ აღებთ მაღაზიას და საღამოს რვა საათზედ ჰკეტავთო, მე აქეთ-იქეთ ვფოთავო“, და ერთი ორიოდე დაზიანებული სიტყვა უთავაზებია ნოქრისათვის.

— ბატონო, რას მერჩი, გამოიძიე, თუ ყველა ამ დროს არ ჰკეტავდეს და არ აღებდეს. თუ მტყუანი გამოვალ, მაშინ, რაც გერჩიოს, ის მიყავი.

— როგორ თუ გამოვიძიო! თუნდა ქვეყანასაც დაეკეტა, შენ რად დაკეტე, რა უფლება გქონდაო.

— მე რომ არ დამეკეტა, ბატონო, დაგამტვრევდნენ და მომკლავდნენო.

— როგორ! ისინი მოგკლავდნენ და მე ცოცხალი გადამირჩები ჩემი დამღუპველიო“ და უეცრად გაუშვებს ფარნას რევოლვერი და დაუხლია ნოქრისთვის. ნოქარი, როგორც ზევითაც ვსთქვი, ღმერთმა დაიფარა სიკვდილისაგან, მხოლოდ ხელშია დაჭრილი. ამჟამად ნოქარი ოთოფურიას საავადმყოფოში წევს და რაინდი ფარნა გაბუნია-კი საპყრობილეში ჩამწყვდეულს.

მეთვალყურე.

*) [illegible] ივლისის № 156.

კავკასია

ბაქოში მრავალი მუშა და ხელოსნები უსაქმოდ დარჩნენ და ზოგი მათგანი სხვა ადგილას მიდის სამუშაოს საშოვნელად. როგორც გაზ. „კასპი“ იუწყება, 21 ივლისს ბაქოდგან წასულა ასტრახანს გემი „იმპერატრიცა ალექსანდრა“, რომელიც სულ მუშა ხალხით ყოფილა სავსე. ბევრ მათგანს ცოლ-შვილი ბაქოში დაუტოვებია, რომ თავისს სამშობლოში საქმე როგორმე მოაგვარონ და მერე ისევ უპატრონონ თავიანთ უნუგეშოდ დატოვებულს ცოლ-შვილს.

რუსეთი

რუსეთში წელს ვერ მოელიან კარგს მოსავალს.

— პეტერბურგის დედათა უმაღლეს კურსებზე თხოვნა შეუტანია დღემდე უკვე 650 ქალს.

— რუსეთის დედათა მფარველი საზოგადოება ჰმართავს სამეურნეო ახალშენს იმ ქალებისათვის, რომელთაც ქმრები არა ჰყავთ და დედანი-კი გამხდარან. ახალშენისათვის 10 დესეტინა ადგილი უკვე ნაზირუნია.

— მდინარე ვისლის წყალდიდობისაგან დაზარალებულთა შესაწევრად გადაიდო ხელმწიფე იმპერატორისაგან 200.000 მანეთი.

— ნოემბერში სრულდება პეტერბურგის სატექნოლოგიო ინსტიტუტის 70 წლის არსებობა. განზრახულია ამიერიდან ყველა ამ ინსტიტუტში კურს-დამთავრებულთ ეწოდებოდეთ ინჟენერ-ტეხნოლოგი.

— ახლად დასაარსებლად განზრახულმა საზოგადოებამ სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულების მოხელეთა ურთიერთის დახმარებისამ დიდი საჩუქარი მიიღო ერთმა კერძო ქველ-მოქმედმა აჩუქა ახალ საზოგადოებას მამული პეტერბურგსა და ცარსკოე სელოს შუა, სივრცით 3 ათასი ჩორსო საჟენი. ამ მამულზე იქმნება აგებული სკოლები, თავშესაფარნი, სამადლო სახლნი საზოგადოების წევრთა და მათ სახლობათათვის.

— შემოდგომაზე პეტერბურგში გაიმართება პირველი გამოფენა საუცხოვო ნაკეთების ნივთებისა ქვისა და ლითონისაგან.

ირკუტსკი. ირკუტსკში კავკასიელთა რიცხვი, საუბედუროდ, დიდია. უმეტესად არიან ქართველები და სომხები. ერთი ტფილისელი, გვარად შერმაზანოვი, 40 წელიწადი სცხოვრობს აქ, 15 წელი ციხეში გაუტარებია და მაინც ქართული კითხვა და ლაპარაკი არ დავიწყებია. ცნობილი ხოსროევიც აქ არის და ქალაქის გამგეობაში მსახურობს. არის კიდევ ვინმე ფირიოვი, რომელსაც ტფილისის სომხობა კარგა უნდა იცნობდეს. ერთ ქალაქელ კინტოს აქ კაი შეძლება შეუძენია. ქართული ენა თითქმის ყველამ კარგად იცის. დიდს საჭიროებას შეადგენს ქართული წიგნი და ბევრიც გავრცელდება, გამომგზავნელი რომ იყოს. ყველა დიდის ხალისით ეკიდება და ნატრულობს, ნეტა ქართული წიგნი და გაზეთი დაგვანახვაო.

უცხოეთი

ინგლისი. საზოგადოებათა პალატის უკანასკნელ კრებაზე ირლანდიელ დეპუტატმა ჯონ რედმონდმა ავად მოიხსენია საფრანგეთის კანონი კონგრეგაციათა შესახებ, როცა დუვში მყოფ ბენედიქტეს ძმობაზედ ასტყდა კამათი.

რედმონდის პასუხად გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივანმა ლორდ კრანბორნმა განაცხადა—არ მაკვირვებს ორატორის გულის წყრომა, რადგან სწორედ ამავე აზრისა ვარ; და მხოლოდ ვსწუხვარ, რომ საფრანგეთში ესეთი ამბები ხდება. იმისი მსგავსი კანონი, როგორიცაა საფრანგეთის კანონი კონგრეგაციათა შესახებ, არაოდეს არ იქმნებოდა მიღებული ინგლისში. შემდეგ ლორდ კრანბორნმა გაკვირვება განაცხადა იმის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობამ საჭიროდ სცნო ამგვარ კანონის განხორციელება და, რაც უფრო საოცარია,—უყურადღებოდ იქმნა დატოვებული ინგლისის ჩარევა დუვში მყოფ ბენედიქტეს ძმობის სასარგებლოდაო. მთავრობამ ყოველი ღონე იღონა, მაგრამ ამაოდაო. პირველად გვეგონა, რომ იმ კანონს გამოკლებით შემოილებდნენ, გარნა ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა და, თუმცა სხვა-და-სხვა ჯგუფნი საფრანგეთის საზოგადოებისა სხვა-და-სხვანაირად მიეგებნენ ამ კანონს, მაინც სავსებით განახორციელა მთავრობამ, და ინგლისელთა ბენედიქტეს ძმობასაც ის ბედი ეწია, რაც საფრანგეთის დანარჩენ ბერებს, ჩვენ მოვაგონეთ საფრანგეთს ის უფლებანი, რომელნიც უარუნველ ყოფილია ხელშეკრულობის ძალით, მაგრამ გვიპასუხეს,—ეგ უფლებანი არ შეეხება ბენედიქტეს ძმობას, რომელიც დიდი ხანია საფრანგეთში დამკვიდრებულა, და ამიტომ ფრანგულ კანონებს უნდა ექვემდებარებოდესო.

მუსტაცა ხელი, დაითრია და დაუწყო ცემა. ამას ეს ძოთქვიანებისო, იძახდა ჯურა და თან სცემდა საბრალოს. კბილებიდან, ცხვირიდან სისხლი წასქდა და ძლივს გავამშველეთ.

დაშოშმინდა ხალხი, ბატკნები მოხარშეს, მამასახლისი, ჩვენ გვისტუმრეს, მაგრამ ჭამაშიაც ხალხს რაღაც თვალების მტერობა და სიგიჟე ეტყობოდა—თუმცა ბევრს ვარიგებდით, ვუხსნიდით...

ჩვენი არა სჯეროდა-რა მეტადრე გიოს, რომელსაც მუხლებში თავისი ყელი-ნახევრის ვაჟი ჩვესვა და დაფიქრებული კოვზით აჭმევდა საჭმელს. არამც თუ გიოს თვალებში, თვით ამ პატარა ბალღის თვალებშიაც რაღაც მტერობა და სიგიჟე გამოსჭვიოდა.

III

მეორე დილის იმ სოფელზედ გავიარეთ, რომლიდანაც იყვნენ მამასახლისი და გლეხი ჯურაც. ერთ სახლთან დიდსა და პატარას მოეკრიფნათ თავი და ალიაქოთი გამოდიოდა. ჩვენს დანახვაზედ მამასახლისი გამოვიდა, მოგვესალმა და ეს გვიამბო:

„გუშინ ჰბრძანებდით, ჭკვიანი კაცია ჯურაო. ჭკვიანი კი არა ოხრობამც არის მაგის თავს. იქ სოფელში ვიღაცასთან ინდაურის ჭუჭიები ჰყოლია სახაზეოდ. საღამოთი ჩაუსხამს გოდორში, აუკიდნია ზურგზედ და უეცრ მოჰკლავდნეია, რომ მთელი მინდორი, სერები, გზა სულ ჭუჭიებით გაიმსო და წივწივებსო... თმა ყალხზე შესდგომია და შინისკენ მოუბრუნია... მოვიდა სახლში, მაგრამ წუხელ, დღეს სულ იმას გაიძახის: „აივსო სოფელი, მინდორი, სერები ჭუჭიებით! აგერ კისკისებენ—წივწივებენო!“ რომ ვცდა-რა გავაგონე-რა, ავდექი და ბოძზე მივაკარ სახლში... ხალხიც ამაზეა მოგროვილიო“...

დაფიქრებულნი გავცილდით სოფელსა და გზაზედ ქალარა სერიამაც გვიამბო...

— თქვენ რომ მამასახლისი გელაპარაკებოდათ, მე კიდევ სხვა გლეხებმა მითხრეს: წუხელ მამასახლისი რომ გამოვიდა, ცოლი გაგიჟებული დახვდა და სულ იმას ყვიროდა: როგორ გაჰბედე და სცემე უფლის კაცს, წმიდანების დედაკაცს... დაიღუპა ჩვენი ოჯახი... დაგვრჩა თვალნაცრიანი შვილებიო!

დასევდიანებულმა ნიკომ, შემდეგ სიჩუმისა, დაუმატა: ვსტიროდი, რომ გლეხი ღარიბია... მართლაც რომ ძაან ხშირად სწყურია და შიან, მაგრამ ნუგეშად ღმერთს უბოძებია მისთვის ოცნებანი.. ტკბილი სიზმრები... უსუფთაოა და ჰავა მოწამლულია მისი სადგომი, მაგრამ ნუგეშად აქვთ მათ ლურჯი ცა, მშვენიერი მდელო, მინდორი, ტყეები... მე მეტირება ხალხი მარტო იმიტომ, რომ არ ანათებს სინათლე მეცნიერებისა, სწავლისა!.. იმიტომაცაა ხალხი გარემოცული უკუნით, შიშით, შურით, სიბრაზესიბნელით. სწავლა-მეცნიერება დაარღვევს ამ წყვდიადს. მაგრამ ეს ჯერ იმ კულტურულ ხროვას მეასმინე, რომელიც უსწავლელ გლეხობაზედ ნაკლებ არ აფერხებს თავისის უმეცრებით ქვეყნის წინმსვლელობას...

ზაქარია გულისაშვილი.

რკინის გზაში

(ნამდვილი სურათი)

საათის ექვსი იქნებოდა. ხალხით სავსე მატარებელი, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ხეობაში გველივით მიიკლაკნებოდა ტფილისისაკენ. ს ღამოს გრილი ნიავი საამურად ეფინებოდა მატარებლის კედლებს და სიცხისაგან გახურებულ შუბლს მიგრილებდა. მე თავი ფანჯარაში მქონდა გაყოფილი და ისე ვსტკბებოდი ბუნების მშვენიერ სანახაობით.

მატარებელი სადგურ მოლითს მიუახლოვდა, სადაც სხვებთან ერთად ოცამდის პატარა ბიჭი და ქალი დაგვიხვდა, რომელთაც ფურცლისა და თელის ქერქისაგან ხელოვნურად გაკეთებულ პატარა კალათებით სხვა-და-სხვა ხილეულობა ეჭირათ და სწრაფად მიარბეინებდნენ ხან ერთ მგზავრთან და ხან მეორესთან ამ სიტყვებით:

— იყიდეთ, ბატონო, იყიდეთ, კარგი მაყვალი, კარგი მსხალი, ქლიავი და სხ.

— რა მოგცე მარწყვში?—შეეკითხა ერთი კონდუქტორი ათი-თორმეტის წლის გოგონას, რომელსაც ხელში სამი პატარა თელის კალათით მარწყვი ეჭირა.

— შაური, ბატონო.

— ორი კაპიკი გინდა?

— არა, ბატონო, ნაკლებ ვერ გავყიდით,—უპასუხა გოგონამ.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, აჰა, ორი კაპიკი.

— ამ სიტყვებზე კონდუქტორმა ორი კაპიკი გადაუგდო და ვაგონში შესვლა დააპირა, მაგრამ პატარა გოგომ ტირილი მორთო და კალათა თავისკენ მიიზიდა.

— მომეცი ჩემი მარწყვი, არ ვყიდი ორ კაპიკადო,—ტირილით ეუბნებოდა. კონდუქტორი ბრაზით აენთო, გოგოს მაგრა ხელი ჰკრა, კალათა გამოსტაცა და, ის იყო, ვაგონში უნდა შესულიყო, რომ ამ დროს იქვე ხალხში მდგომმა ევროპიულად ჩაცმულმა ყმაწვილმა კაცმა ხმა მაღლა დაიძახა:

— Гдѣ здѣсь жандармъ?! სად არის ჟანდარმი?! რა უსვინიდისობაა, რა ძალმომრეობაა?! ჟანდარმიც მოვიდა.—Прошу составить протоколъ, უდანაშაულოთ შეურაცხყოფა მიაყენა, ფული წაართვა, что за безпорядки у васъ: მატარებელში მოსვენებას არ გვაძლევენ, ვიღაც მთვრალები არიან, რატომ ყურადღებას არ აქცევთ, что за нахальство, что за безобразіе!!..—ცხარობდა ყმაწვილი კაცი.

კონდუქტორი შეკრთა, მარწყვიანი კალათა ხელში შეაცივდა.

— Ей Богу я деньги отдалъ! ღმერთმანი ფული მივეციო,—ფიცულობდა კონდუქტორი.

— Что такое? кто здѣсь кричитъ? Я плачу сто рублей-ო,—ხმა მაღლა დაიძახა ნუნუათი შექეიფიანებულმა „ტარიელ მკლავმაგრმა“ და მატარებლის კიბიდგან ბანცალ-ბანცალით ძირს გადმოეშვა.

— ეი, შენ რას ყვირი, რომ ყვირი,—მიუბრუნდა ის ყმაწვილ კაცს—здѣсь ваши дѣла чтоли? я сто рублей плачу, გესმის!..

— მე თქვენთან საქმე არა მაქვს, თქვენ ისიც გეყოფათ, მატარებელში რომ არ გვაძლევთ მოსვენებას. გთხოვთ მომშორდეთ!..

— რაო, მე არ გაძლევთ მოსვენებას? ჩემთან არა გაქვს საქმე? ვის უბედავ, პადლეცო?!.

ამ სიტყვებზედ ტარიელმა ხელი სატევარზე დაიტანა, ინდოურივით შუბლი წინ გამოიბერა და ბიჯი წინ გადადგა.

ყმაწვილი კაცი გაფითრდა, სისხლი ყელში მოადგა.

— ჟანდარმო, რას გაჩერებულხარ?!.. ხომ ჰხედავ, როგორი უზრდელის სიტყვებით მამკობს, მე გთხოვთ, „პროტოკოლი“ შეუდგინოთ,—ცხარობდა ყმაწვილი. ჟანდარმი კი იქვე იდგა და ხან ერთს შესცქეროდა და ხან მეორეს.

— ფეხებზე მკიდია შენი პროტოკოლი, შე ლაწირაკო. .

— Кондукторъ, поѣздъ долго останавливается; отчего не ѣдетъ?!

— Сейчасъ, князь, сейчасъ!—უპასუხა კონდუქტორმა და მატარებელიც დაიძრა.

პატარა გოგონა? ხალხის ყვირილზე შეშინდა. იფიქრა, ალბათ მე მიჯავრდებიან, ორი კაპიკიც არ ავიღეო, ისე გულ გახეთქილი გაიქცა შინისაკენ.

ს. რემონიძე

სერბია. გაზ. „თაიმ“-ის ბელგრადელ კორესპონდენტის სიტყვით, პეტრე მეფეს გადაუწყვეტია სასტიკ დისციპლინას მიჰმართოს იმ ოფიცერთა ასალაგმავად, რომელნიც ცხადივ არ ემორჩილებიან დისციპლინას. მათი ამგვარი საქციელი ახალ სამეფო საგვარეულოს დიდათ აღონებს. ერთ-ერთ საზღვარ-გარეთელ გაზეთის კორესპონდენტი ასე ახასიათებს ობრენოვიჩების მომხრეთა აწინდელს მდგომარეობას:

„მაისის 22-ს სასახლეში მომხდარ სისხლის ღვრის შემდეგ, ობრენოვიჩთა მოსპობილს საგვარეულოს მომხრენი და იგინიც, რომელნიც, თუმცა ობრენოვიჩებს დიდად არ თანაუგრძნობდნენ, მაინც შეძრწუნებულ იქმნენ მეფე-დედოფლის მკვლელობით, ვერ ჰბედავდნენ ცხადად გამოეთქვათ თავიანთი აზრი და გულში იკლავდნენ უკმაყოფილებას. ეხლა-კი ამ უკმაყოფილოთა გუნდმა მოქმედება შესცვალა. რამდენიმე გაზეთი (მათ შორის „ნაროდნი ლისტ“) ცხადის პატივისცემით იხსენიებენ იმ წრეებს, რომელნიც ირწმუნებიან, სერბიის დაქვეითება დახოცილ მეფე-დედოფალს არ უნდა მიეწეროსო.

ეს ჟურნალ-გაზეთობა იმ აზრს ადგია, რომ მეფე ალექსანდრეს თანამშრომელნი პასუხის მგებელნი არიან მეფე ალექსანდრეს მიერ ჩადენილ უკანონობათათვისაო. ამასთანავე ბევრი ცრუ ბრალდებაში მოკლულ მეფეს უდანაშაულოდ აღიარებს. საუბედუროდ მეუღლება დრაგასთან სრულიადაც არა ყოფილა,— როგორც ამას ამტკიცებდნენ,— სერბიის სახელმწიფო მოღვაწეთა უმეტესობის სურვილის წინააღმდეგი; პირ-იქით მიტროპოლიტი ინოკენტი, ოფიცერთა უმეტესობა და სერბიის პოლიტიკური მოღვაწენი დიდ თანაგრძნობას უცხადებდნენ მეფეს; 20,000 სერბიელი მოქალაქე მივიდა ბელგრადს და მეფეს დაქორწინება მიულოცა“-ო.

„სერბიის გაზეთობა— შენიშნავს კორესპონდენტი,— მარტო ალექსანდრე მეფეს როდი იცავსო: ბევრი გაზეთი ურჩევს პეტრე მეფეს 29 მაისს მომხდარ ტრაგედიაში მონაწილეთა, ასე უხვად დაჯილდოვების მაგივრად, უფრო მკაცრად მოეპყარით. თუმცა ალექსანდრე მეფეს პატივის აღსადგენად გვიან ამოიღეს ხმა, მაგრამ მაინც ისეთი შედეგი მოჰყვა, რომელიც მხოლოდ სერბიაშია შესაძლები: ალექსანდრე მეფის ხსოვნის დამცველ გაზეთების რედაქტორებმა აუარებელი უსახელო წერილები მიიღეს, რომლებშიაც სიკვდილს უქადიან, თუ დახოცილ მტარვალთა მართლებას განაგრძობთ“-ო. მაგრამ არც რევოლიუციონერთა მეთაურთ აკლებენ სისხლის ძიებას მუქარით სავსე უსახელო წერილებს. ამ გვარ მოვლენას დიდი გავლენა ექმნება სერბიის ბედ-იღბალზედაო.

ბულგარია. გაზ. „Vos. Zeit“-ის სიტყვით, თუ დიდმა სახელმწიფოებმა არ უზრუნველ-ჰყვეს ბულგარიის ინტერესები მაკედონიაში, მთავარი ფერდინანდი ტახტს უარჰყოფსო. მაკედონიის საქმეში დამარცხებამ მთავრის ტახტი მეტად შეარყია. თუ თვით მთავარს არა, პეტროვის კაბინეტს მაინც არ ასცდება უბედურებაო.

ინდოეთი. რანგუნში დაარსებულა ამა წლის დამდეგს „ბუდდას საერთაშორისო საზოგადოება“ რომელსაც ეხლახან გამოუცია დაწვრილებითი გეგმა თავის მომავალ მოქმედებისა. ამ ცალკე წიგნაკად გამოცემულ გეგმაში საზოგადოების დამაარსებელნი აცხადებენ, რომ საზოგადოებას, როგორც „საერთაშორისო“-ს, განძრახვა აქვს გაავრცელოს ბუდდას მოძღვრება და მისი პრინციპები, გააცნოს ქვეყანას პალების ენა, რომელიც სანსკრიტულს წააგავს და რომელზედაც დაწერილია ბუდდას წიგნების უმეტესობა. ეს საზოგადოება გამოაქვეყნებს ბუდდას თხზულებებსა და ყველა წევრს უსასყიდლოდ დაუგზავნის. საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნების სია გეგმაშია ჩართული.

ნარკვევი

კიშინოვში ახლად დანიშნული გუბერნატორი თ-დი ურუსოვი დიდად სცდილობს დაამშვიდოს ხალხი თავის ხელქვეით გუბერნიაშიო,— ამბობს გაზ. „Восходъ“-ი, მხოლოდ გაზ. „Бесарабецъ“-ი არ იშლის თავისას და ხალხის ასაღელვებლად ხან რას აწოდებს თავის მკითხველს და ხან რასაო.

—

ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ სასულიერო მთავრობას განუზრახავს სამოსწავლო ოლქები დააწესოს რუსეთსა და კავკასიაშიც; სამღვდელოების გარდა ამ სამზრუნველოს წევრებად მიწვეულნი იქმნებიან სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსნი. აუცილებლად საჭიროთ ვამბობდით ჩვენ, რომ ამ საოლქო საბჭოებში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე გუბერნიის და მაზრების მარშლები და ადგილობრივის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების და მოთხოვნილების მცოდნენი.

ეს ჩვენი აზრი გაჰკვირებია „მწყემსის“ რედაქციას, რომელიც ესე გვეკითხება:

> ახირებულ სურვილს იჩენს „ივერია“! განა მართებულობა მისცემს ნებას, რომ საზოგადოებისაგან არჩეული პირებიც შეურთდნენ ამ საბჭოში მოსამსახურეთა?!. რატომ არა სურს „ივერიას“, რომ მომრიგებელი შუამავლებიც იყვნენ ამ საბჭოში… მაშინ ხომ საქმე უკეთესად წავიდოდა?..

პატივცემული რედაქცია ვერ მიმხვდარა, რომ საბჭო მხოლოდ იმ მოხელეთაგან-კი არ შესდგება, რომლებიც ამ საბჭოში მსახურობენ, არამედ ყოველ მაღალ დაწესებულებათა უფროსებისაგან, რომელნიც მიწვეულნი იქმნებიან სხდომაზე, საბჭოს თავმჯდომარის მიერ, როდესაც საჭიროება მოითხოვს.

რა ძალიან გაჰკვირვებია „მწყემსის“ რედაქციას, რომ ხალხის განათლების საქმეში მონაწილეობა მიიღონ თვით ხალხის წარმომადგენლებმა და არა მარტო დაწესებულებათა უფროს მოხელეებმა, რომლებმაც მკვიდრთა საჭიროება და მოთხოვნილება, ვგონებთ, ნაკლებ იციან, ვიდრე თვით ამ ხალხის წარმომადგენლებმა. მაინც და მაინც მომრიგებელი შუა-კაცნი, რომელთაგან ბევრს მაღალი სწავლა მიუღია, აბუჩად რად აუღია სასულიერო ჟურნალის რედაქციას? ისინიც ხომ ჩვენს ქვეყანაში მოხელენი არიან, მთავრობის მიერ განწესებულნი, ხოლო ცხოვრებას უფრო ახლო უდგანან და მის ვარამს ყოველ დღე თვალითა ხედავენ და ყურით ისმენენ. დავიწყებას უნდა მიეცეს ის დრო, როდესაც ხალხის განათლება რომელსამე განსაკუთრებულ უწყებას ხელთ ეპყრა და ხალხის თვით-მზრუნველობას ამ შემთხვევაში უარ-ჰყოფდა. „მწყემსის“ რედაქციას, ეტყობა, ვერ შეუგნია საერო განათლების მინისტრის განკარგულება, რომელიც ურჩევდა, არამც თუ დაბალ, არამედ საშუალო სასწავლებლების დირექციასა და მასწავლებლებს მახლობელი ურთიერთობა იქონიონ მოსწავლეთა მშობლებთან და ისე შეუწყონ ხელი ბავშვების ზნეობრივს აღზრდას. მშობელთა შორის შესაძლოა მომრიგებელი შუა-კაციც. იყოს ძნელი თუ იმას არა ეკითხება-რა თავის შვილის შესახებ?

—

ნიჭიერს მწერალს კოროლენკოს მრავალი დეპეშა მისვლია მილოცვისა რედაქციებისა, სხვა-და-სხვა დაწესებულებისა და კერძო კაცთაგან. სხვათა შორის, „Рус. Мысль-ის რედაქციას ასეთი დეპეშა მიუწერია იუბილიარისათვის:

> Рус. Мысль-ის რედაქცია გულითა და სულით ულოცავს იუბილეის დღეს მაღალ ნიჭიერ, კაცთ-მოყვარე ხელოვანს მწერალს, გულადს პუბლიცისტს, კაცს ძლიერისა და შეუმდრკალის თაოსნობისას. სიხარულით ვიგონებთ, რომ პირველი თქვენი ნაწარმოები „მაკარის სიზმარი“, ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა. გულ-მხურვალედ ვისურვებთ თქვენთვის მრავალ-ჟამიერ დღეგრძელობას და მუშაობას ჩვენის ლიტერატურისა და საზოგადო ცხოვრებისათვის. ლავროვი, გოლცევი, ჩეხოვი.

თეატრი და ხელოვნება

თელავი. 18 ივლისს თელავს ესტუმრა ჩვენი ცნობილი მსახიობი-ქალი ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად. პირველი წარმოდგენა გაიმართა 20 ივლისს. წარმოადგინეს დრამა „მზეს მოკლებულნი“. აფიშებში წინდაწინვე გამოცხადებული იყო, რომ წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნნი გამყრელიძენიო, ამიტომ თეატრს კარგა ბლომა ხალხი მიაწყდა. გამოსვლისათანავე გაბუნია-ცაგარლისას საზოგადოება დიდის ტაშით მიეგება, მაგრამ ამ აღტაცებას ისევე მალე ფრთები შეეკვეცა. მისთვის ერგუნებინათ უმნიშვნელო და უფერული ხოხლინას როლი, რის გამოც საზოგადოებაში შემდეგ უკმაყოფილოდ გაიძახოდნენ: ნუთუ იმისთვის მოიწვიეს გაბუნია-ცაგარლისა, რომ ვიღაც „მათუშკას“ როლი ათამაშონო.

მშვენივრად შეასრულეს თავიანთი როლები ბ-ნთ ვ. და დ. გამყრელიძეებმა. ბევრი ატირა პირველმა და ბევრი აცინა მეორემ დამსწრე საზოგადოება. ბ-ნთ გამყრელიძეების ხელოვნური თამაშობა ერთი-ორად მეტს შთაბეჭდილებას იქონიებდა საზოგადოებაზედ, რომ მათთვის ხელი არ შეეშალათ უნიჭო და უსიცოცხლო თამაშობით პურიშევისა და ნადეჟდას როლებში ბ-ნს აჯამამედოვსა და ქ-ნს გამყრელიძისას. სამაგიეროდ, მშვენივრად შეასრულა კოლიკოვის როლი თავ. ლ. ვახვახიშვილმა. ლ. ვახვახიშვილი ჩვენ ბევრჯერ გვინახავს სცენაზედ, მაგრამ ასე თვალსაჩინოდ და ხელოვნურად არც ერთხელ არ უთამაშნია.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ თელაველები დიდათ მოხარულნი არიან, რაკი აქაურ სცენაზედ ჰხედავენ ისეთ მსახიობთ, როგორიც არიან ქ-ნი ცაგარლისა, ბ-ნნი ვ. და გამყრელიძენი. მხოლოდ საქმე ის არის, რომ თეატრის გამგე მათ ნახვას იაფად არავის უსვამს. თელავში, როგორც სამაზრო ქალაქში, უფრო შეათანა შეძლების ხალხია და მომეტებულის სასყიდლის გაღება არ შეუძლიანთ. აი, ეს იყო სხვათა შორის იმის მიზეზი, რომ ამ დღეს წინა რიგი სკამებისა ცარიელები იყო, უკან-კი, ორ აბაზიან ალაგას, სადაც ხალხი ფეხდგომელა უნდა ყოფილიყო, წარმოიდგინეთ, ყმაწვილი განათლებული ქალები მოსჩანდნენ!

დამსწრე.

წერილი
რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

„ივერიის“ № 153-ში დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „საოცარი გულმავიწყობა“. წერილი შეეხება „მოგზაურის“ უკანასკნელ წიგნში დასტამბულ ჩემს წერილს „ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნების გამოცემის შესახებ“, სადაც სხვა-და-სხვა ჩამოთვლილ პედაგოგიურს სახელმძღვანელო წიგნთა შორის არ არის მოხსენებული „დედა ენა“, როდესაც ეს წიგნი ჩვენს მწერლობაში თვალსაჩინო განძათ ითვლება. მაქვს პატივისცემა მოვახსენო რედაქციას, რომ აქ „საოცარი გულ-მავიწყობას“ სულაც არა ყოფილა. წერილი ჩემი დაწერილია. ბევრად ნუ ჩამომართმევთ და XIX საუკუნის ქართულ ნაბეჭდ წიგნების შესახებ მე ძალიან ბევრი მიწერია „დროება“-ში, „ივერია“-ში, „თეატრში“, „კვალში“ და სხვა ჟურნალებში. მე, როგორც ძველს ბიბლიოფილს, შეუძლებელი იყო დამვიწყებოდა ეს თვალსაჩინო წიგნი ანუ განზრახ, ანგარიშითა თუ ანგარებით შესაფერი ადგილი არ მიმეცა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ზემო ხსენებულ ჩემს წერილში „დედა ენა“ მოხსენებული იყო და მაგალითად აღწერილი, ჩემის გონებრივის შეძლების კვალად. ხოლო წერილის იბეჭდვის დროს „დედა ენა“ რად იქმნა გამოტოვებული— ეს მე არ ვიცი და ამაზედ ვერას მოგახსენებთ. ეს თვით „მოგზაურის“ რედაქციამ გაგაგებინოთ. ამიტომ ნურც „ივერიის“ რედაქცია და ნურც ამ გაზეთის მკითხველები ნებსითსა და უნებლიეთ „გულმავიწყობას“ მე ნუ დამწამებენ.

ია. მარუშიძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 ივლისი.

პორტ-არტური. გაზეთების სიტყვით, შანხაიში მისულა მოხელე გირინის ცზიანცზიუნისა 3,000, ახალი სისტემის თოფის სასყიდლად. ეს მეორედ ყიდულობს თურმე.

ბათუმი. 22-ს ივლისს სოფელ ბორჩხას ახლო ბათუმის ოლქში დაეცნენ ფოსტას. ფოსტის მოხელე და ერთი დარაჯი მოკლულია, მეორე დარაჯი დაჭრილია, ბოროტ-განმზრახველთ ფული წაიღეს.

სტამბოლი. უცხოელთა კონსულების მოხსენებიდან სჩანს, რომ სასუნსა და მის მიდამოებში მღელვარება მატულობს, რადგან იქაური მაჰმადიანნი მტრულად უყურებენ სომხებს.— ესკისა და ბანიცას სადგურებზე, სალონიკის მონასტრის შუა რკინის გზას დაეცნენ მეამბოხენი, თუმცა გზას ჯარი სდარაჯობს.

სალონიკი. მეამბოხეთ გააფუჭეს სხვა-და-სხვა ადგილს რკინის გზის ლიანდაგები დინამიტით.

სოფია. აუარებელმა მეამბოხეთა ბრბომ იჩინა თავი დედე-ალაჩისა სერესისა და მონასტრის მახლობლად, ბევრგან მოხდა სისხლის ღვრა. ორივე მხარეს მრავალია დახოცილი. რამდენიმე ხიდი ჩაანგრიეს, დაანგრიეს ყაზარმები, რამდენიმე ადგილს გადაჭრილია დეპეშათა მავთულები. სულთანმა ბრძანება გასცა საჩქაროდ წავიდეს სერეს ედიმ ფაშაო.

ბელგრადი. შვილები მეფისა, პრინცები გიორგი და ალექსანდრე და პრინცესა ელენე და ძმა მეფისა არსენი შვილით პავლეთი მოვლენ ორშაბათს ბელგრადს, სადაც ემზადებიან დიდებულად დასახვედრად.— სამხედროთა შორის ლაპარაკობენ ამას წინად დატუსაღებულ აფიცრებზე, რომელიც ემხრობოდა უკანონო დამოკიდებულებას ავსტრიის მისიისას.

პეკინი. ჩინეთის მთავრობამ მიმართა უცხოელთა წარმომადგენელთ და სთხოვა: მოგვეცით ხელში აქაურის გაზეთის „სუბაო“-ს რედაქტორები, რომელთაც დაბეჭდეს საწინააღმდეგო ნაწარმოებნი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბალფურსა ჰკითხეს: რა მდგომარეობაშია საქმე, ჩინეთის ჟურნალისტებისაო, რომელნიც შანხაის არიან დაპატიმრებულნიო. ბალფურმა უპასუხა: ინგლისის დიპლომატს პეკინში ეუწყაო, რომ ბრიტანიის მთავრობის აზრით დაპატიმრებულნი არ უნდა მიეცნენ ჩინეთის მთავრობას ხელშიო.

რომი. პაპის დაგვირგვინება დანიშნულია 25 ნოემბერს.

პარიჟი. იმის გამო, რომ საფრანგეთის დეპუტატთა ერთი ჯგუფი მიდის ლონდონს დე-იტურნელმა მისწერა დელ-კასეს, რომ მაგ ჯგუფს აზრათა აქვს მოლაპარაკება იქონიოს სხვა სახელმწიფოსთან, მეტადრე იტალიასთან და მით მოამზადოს ნიადაგი ხელშეკრულობათათვის სამედიატორო სამართლის შესახებ.— მატენი ირწმუნება, რომ დელ-კასე ლონდონში ხანგრძლივ ელაპარაკა ლანსდოუნს და ჩემბერლენს და დაითანხმა რომ 1) დაიდოს ხელშეკრულობა სამედიატორო სამართლის შესახებ. 2) შეიზღუდოს საზღვაო ხარჯები ინგლისისა და საფრანგეთისა რუსეთთან შეთანხმებით და 3) ძორიგებით გათავდეს ხოლმე დიპლომატიური დაბრკოლებანი.

კიოლნი. ბელგრადში შეიპყრეს მთავარ შტაბის აფიცერი, რომელიც ჯაშუშობას უწევდა მეზობელ სახელმწიფოს აგენტს.

სტამბოლი. ხონთქარმა ბრძანა: იქ სადაც აფიცრებმა და ჯარის-კაცებმა უწესოება მოიქმედეს ბულგართა წინააღმდეგ დაწესდეს სამხედრო სასამართლოები დამნაშავეთა განსასამართლებლადაო.

24 ივლისი.

ხარკოვი. ამ წლის პირველ ნახევარში გაუტანიათ აქედგან ქვა-ნახშირი 215 მილიონი ფუთი, კოკსი—$23^1/_2$ მილიონი ფუთი, ანტრაციტი $12^1/_2$ მილიონი ფუთი, სულ მინერალური სათბობი—251 მილიონი ფუთი, შარშანდელზე 14% მეტი. სათბობი საწყობებში შემცირდა; ხალხი მინდვრად მიდის სამუშაოდ, მადნებში მომუშავე ცოტაა და მადნეულობა ნაკლებად გამოაქვთ. ნახევარ წლის განძავლობაში რკინეულობა გაუზიდნიათ 82 მილიონი ფუთი, შარშანდელზედ 19% მეტი. მარილი გაუტანიათ 14 მილიონი ფუთი, შარშანდელზედ ცოტა ნაკლები. საერთოდ-კი მადნეულობა წაუღიათ 360 მილიონი ფუთი, შარშანდელზედ 14% მეტი.

ტაგანროგი. მეოთხე საათი იყო, როდესაც ქარიშხალი ამოვარდა და თან მოჰყვა წვიმა-ნიაღვარი და სეტყვა. ქარიშხალი მეშვიდე საათზედ განშეორდა. სარდაფები წყლით აივსო, სახლის სახურავები ქარიშხალმა მოჰგლიჯა, ბოსტნეულობა გაფუჭდა.

რომი. ეხლა ამბობენ, რომ პაპის დაგვირგვინება მალე უნდა იქმნას, რომ ცერემონიას კარდინალთა კრებული დაესწროს. ჰფიქრობენ, მომავალ კვირას დაგვირგვინდებაო.

სტამბოლი. როგორც პორტა ამბობს, მონასტირისა და [illegible] ვილაიეტში 16 ახალი დასი გაჩენილა აჯანყებულთა. რამდენსამე ალაგას მოჰხდა კიდევ ბრძოლა, კაცის კვლა, სოფლების გადაწვა. მეამბოხეთა დასნი შიშის ზარსა სცემენ მაჰმადიან მკვიდრთ და სცდილობენ აიძულონ ბოლგარელნი სოფლელნი, რომ იმათს დასებს მიემხრნენ. პორტამ დღეს დანამდვილებით აცნობა ეს ამბები რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ელჩებს.— დღეს ილდიზ-კიოსკში საგანგებო ბჭობა იყო მინისტრებისა, აგრეთვე სამხედრო თათბირიცა და პორტამ ნაწილი ომარ-რუჯი-ფაშის კორპუსის ჯარისა გაჰგზავნა ზემოხსენებულს ორს ვილაიეტში. როცა მინისტრები ბჭობდნენ ილდიზ-კიოსკში, მიიწვიეს ბოლგარიის ეგზარხოსიც, რომელსაც დიდმა ვეზირმა სთხოვა იმოქმედე ხალხზედ, რომ იარაღი დაჰყაროსო, უამისოდ, იძულებული ვიქნებით სასტიკ ღონისძიებას მივმართოთ აჯანყების დასათრგუნავად და ამასობაში ბევრი უბრალო და უდანაშაულოც დაიღუპებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ. . . .	93,80
ბერლინში 100 მარკაში. . .	—
პარიჟში 100 ფრანკში . . .	—
ლონდონში ჩეკები.	94,45
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,,	
ბირჟის დისკონტი.	5—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა. . .	$99^3/_4$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ. . . .	$100^3/_4$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკის . .	$95^1/_4$ მყიდ?
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	445 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	$337^1/_2$ წვ. მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	$290^1/_4$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	$92^1/_2$ გაყ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა. .	3875 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	392 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	195 წვ. გაყ.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა . . .	11 კ.
2 ,, ...	8
3 ,, ...	6
სუკი	15
ცხვრის ხორცი	10
კამეჩისა	[illegible]
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე) . .	11
2 ,, (ბარძაყი) . . .	10
3 ,, (დანარჩენი ნაწილი, გატყავებული)	8

ნიხრი პურისა:

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5
2 ,, ...	$3^1/_2$
3 ,, ...	3

განცხადება

საფყოვი ქაღალდის
მოსკოვი 1882 წ. დიტიატკოვსკის ამხანაგობის ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66.
(30—5.—17)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). д. Груз Дворянства. დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი